



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27240298

თარიღი:29/01/2024

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 05

29 იანვარი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი სპორტულ - ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი სპორტულ - ახალგაზრდული პროგრამა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა

№	დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების მხარდაჭერა	სხვადასხვა სპორტული სფეროს წარმომადგენლების მიერ ინიცირებული სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	30 000
2	სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	ოლიმპიადა ტარდება თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით სპორტის სხვადასხვა სახეობებში	წლის განმავლობაში	10 000
3	მუნიციპალური სპორტული ტურნირები „იცხოვრე სპორტით“	ღონისძიება ითვალისწინებს ქალაქ თელავსა და თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამოყვარულო გუნდების ჩამოყალიბებას და მათი მონაწილეობით სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას	წლის განმავლობაში	7 000
4	„ოფროუდი“	„ოფროუდი“ გულიხსმობს რთულ რელიეფზე ავტომანქანებით რბოლას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ექსტრემალური სპორტის მოყვარულები მთელი საქართველოს მასშტაბით. ღონისძიების მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში სპორტული ტურიზმის პოპულარიზაცია და სპორტის ამ სახეობის განვითარება	მაისი-ივნისი	20 000

5	ენდურო-მოტოკროსი	ენდურო-მოტოკროსი წარმოადგენს მოტორბოლის სახეობას რთულ რელიეფზე, ტრამპლინებით და დაბრკოლებებით მოწყობილ სპეციალურ მოტოდრომზე. ღონისძიების მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში მოტოსპორტის პოპულარიზაცია და სპორტის ამ სახეობის განვითარება	წლის განმავლობაში	5 000
6	ახალგაზრდული პროექტები/ინიციატივები	სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	30 000
7	ექსკურსია-ბანაკი	თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოციალურად დაუცველ ან/და გაჭირვებულ, მოწყვლად ოჯახებში მცხოვრები მოზარდებისა და წარმატებული მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო-წამახალისებელი ხასიათის ექსკურსია-ბანაკის მოწყობა	წლის განმავლობაში ორ ეტაპად	50 000
8	„ეტალონი“	საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონის“ ფარგლებში, თელავის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად ინტელექტუალური კონკურსის გამართვის უზრუნველყოფა	ოქტომბერი	4 000
9	შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები	ღონისძიების ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახალისო სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში (მაგ.: გამოიცანი მელოდია; რა? სად? როდის? და სხვა)	წლის განმავლობაში	15 000
10	ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა	შემაჯამებელი ღონისძიება, რომლის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში	დეკემბერი	6 000

		მცხოვრები, წლის განმავლობაში წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება		
	მთლიანი ბიუჯეტი			177 000